



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 35

2011 წლის 25 მარტი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ)“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საპრივატიზებო ნუსხა დანართი N1-ის მიხედვით.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას შესაბამისი საპრივატიზებო დოკუმენტაციის მომზადება.
3. განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო ნუსხა

N	მისამართი	ნაკვეთის დასახელება	ფართობი კვ.მ	საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო N	1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	ხაშური, ვაჟა-ფშაველას I ჩიხი	ყოფილი რძის ქარხნის ტერიტორია	3611	69.08.56.012	8,892
2	ქ.ხაშური, ჭანტურიას ქ.	ჭანტურიის და ფალიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული ნაკვეთი	28	69.08.63.026	10,67
3	ქ.ხაშური, ბექაურის ქ.	ყოფილი "საქსოფტექნიკის" ტერიტორია	2038	69.08.65.016	7,114
4	ქ.ხაშური, ბექაურის ქ.	ყოფილი "საქსოფტექნიკის" ტერიტორია	1740	69.08.65.021	7,114
5	ქ.ხაშური, ბორჯომის (ყოფ. სტალინის ქ.)	აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორია	1109	69.08.60.028	10,67
5	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაშისკარი	-	1312	69.06.63.023	5,334
6	ქ.ხაშური, იმერეთის ქ.	-	1740	69.08.60.025	10,67
7	ქ.ხაშური, რუსთაველის ქ.	მემორიალის მიმდებარე ტერიტორია	295	69.08.58.044	10,67